საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/1055

ქ. თელავი 25.12. 2018 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (№45/ნ 2018 წლის 24 ოქტომბერი, „2018-2019 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე„) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის , უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 26 ოქტომბრის # 1387700 წერილის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელის მაია შუხოშვილის (# 1406756 31/10/2018) წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წელს პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების შესაბამისად დასაფინანსებელი ადგილები განისაზღვროს შემდეგი სახით:

1. 30 ადგილი - მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა;
2. 41 ადგილი - ისტორია (საბაკალავრო);
3. 30 ადგილი - ქართული ენა და ლიტერატურა (საბაკალავრო);
4. 22 ადგილი - ბიოლოგია (საბაკალავრო);
5. 77 ადგილი - სასურსათო ტექნოლოგია (საბაკალავრო);
6. 30 ადგილი - ეკონომიკა (საბაკალავრო);
7. 50 ადგილი - აგრონომია (საბაკალავრო).

სულ: 280 ადგილი

2. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძნების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;
7. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ. გიორგაძეს) ბრძანების ვებ-გვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/